<u>შპს „მაგთიკომის“</u>

<u>ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა)</u>

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტით (შემდგომში – ***ოფერტა***), განსაზღვრულია შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - ***მაგთიკომი***) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

1. მუხლი. ოფერტის საგანი

ოფერტით მაგთიკომი სთავაზობს ყველა ავტორიზებულ პირს ურთიერთჩართვასა და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას, მათ მიერ ***ოფერტით*** დადგენილი წესის შესაბამისად გამოვლენილი ნების საფუძველზე (შემდგომში - ***მსურველი პირი***). მომსახურების სახეები, რომელსაც მიიღებს ***მსურველი პირი*** განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. მუხლი. ხელშეკრულების გაფორმების პირობები

2.1 ***ოფერტით*** გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ***მაგთიკომთან*** გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებამდე ან მის შემდეგაც (ხელშეკრულებაში მსგავსი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში) მოქმედებს ***ოფერტით*** გათვალისწინებული პირობები. ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ***მსურველმა პირმა*** წერილობით უნდა მიმართოს ***მაგთიკომს***. წერილობით მიმართვაში (შემდგომში - ***განაცხადი***) ***მსურველმა პირმა*** ნათლად უნდა გამოხატოს ნება, თუ რა სახის მომსახურების მიღება სურს მას და ასევე ნათლად უნდა იქნას ასახული, რომ იგი სრულყოფილად გაცნობილია ***ოფერტას*** და აცხადებს უპირობო აქცეპტს/თანხმობას ***ოფერტის*** ყველა პირობის შესრულებაზე.

2.2 წერილობითი ***განაცხადი*** სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.2.1 ***მსურველი პირის*** საფირმო სახელწოდებას;

2.2.2 ***მსურველი პირის*** იურიდიულ და ფაქტიურ მისამართებს;

2.2.3 ***მსურველი პირის*** ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის და ფაქსის ნომრებს;

2.2.4 ***მსურველი პირის*** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელს, გვარს, მისამართს და საკოტაქტო ნომერს;

2.2.5 ***მსურველი პირის*** საქმიანობის სახეებს, რაზეც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში (შემდგომში - კომისია) მას გავლილი აქვს ავტორიზაცია;

2.2.6 ***მსურველი პირის*** არსებულ ლიცენზიებს/ნებართვებს და ნუმერაციის რესურსებს;

2.2.7 ***მსურველი პირის*** ქსელის აღწერას;

2.2.8 სიგნალიზაციის ტიპს;

2.2.9 გამოყენებული ინტერფეისს;

2.2.10 ***მაგთიკომის*** ქსელში დასასრულებელი ტრაფიკის სავარაუდო მოცულობას;

2.2.11 ***მსურველი პირის*** მომსახურების სახეები, რომლის მიღებაც მას სურს ***მაგთიკომისგან***;

2.2.12 ***მსურველი პირის*** საკონტაქტო პირების სახელს, გვარს და ტელეფონის ნომრებს.

2.3 ***განაცხადს*** თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.3.1 ***მსურველი პირის*** ავტორიზაციის მოწმობის ასლი;

2.3.2 ***მსურველი პირის*** განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2.3.3 ***მსურველი პირის*** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

2.3.4 ***მსურველი პირის*** ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა;

2.3.5 ***მსურველი პირის*** რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის სალიცენზიო მოწმობის ასლი;

2.3.6 ***ხელშეკრულების შესრულების გარანტია***, რომელიც გულისხმობს გამოუხმობად საბანკო გარანტიას ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხას. ***საბანკო გარანტია*** გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ, რომლითაც გარანტიის გამცემი (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს (***მაგთიკომს***), ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ ***მსურველი პირი*** დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს. ***საბანკო გარანტია*** უნდა იყოს გამოუთხოვადი და უპირობო (ბანკის მიერ თანხის გადახდა ***მაგთიკომისათვის*** არ უნდა ეფუძნებოდეს რაიმე დამატებით პირობებს). ***საბანკო გარანტიის*** ფორმა და პირობები წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული ***მაგთიკომთან***, რომელსაც, თავის მხრივ, უფლება აქვს არ მიიღოს მსგავსი დოკუმენტი, თუ იგი არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და ***ოფერტით*** განსაზღვრულ პირობებს. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა (***დეპოზიტი)*** – გულისხმობს, ***მსურველი პირის*** მიერ ***მაგთიკომის*** ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება ***მსურველი პირის*** მხრიდან ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების შესრულების გარანტიად.

2.3.7 ***მსურველი პირი*** ვალდებულია განაცხადში მიუთითოს ერთი თვის განმავლობაში ***მაგთიკომის*** ქსელში დასასრულებელი სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა. ***საბანკო გარანტიის*** ან ***დეპოზიტის*** თანხის ოდენობა უნდა იყოს ***მსურველი პირის*** მიერ ***მაგთიკომის*** ქსელში 2 (ორი) თვის განმავლობაში დასასრულებელი ტრაფიკის ჯამური ღირებულება.

2.4 2.3.6-2.3.7 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა აუცილებელია იმ ავტორიზებული პირებისათვის, რომელთაც ***მაგთიკომთან*** არ ჰქონიათ სამართლებრივი ურთიერთობა ***ოფერტით*** გათვალისწინებულ მომსახურების მიღებაზე ან ***ოფერტით*** გათვალისწინებულ მომსახურებაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ***მსურველი პირი*** არ ან არაჯეროვნად ასრულდებდა ***მაგთიკომის*** წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ ***მაგთიკომთან*** ურთიერთჩართული ოპერატორი (***კონტრაჰენტი)***, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაარღვევს ანგარიშსწორების ვალდებულებას, ***მაგთიკომი*** იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს ამ პირს 2.3.6-2.3.7 პუნქტებით გათვალისწინებული ***ხელშეკრულების შესრულების გარანტიის*** წარმოდგენა და ეს უკანასკნელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი გარანტია.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ ***მსურველი პირს*** აქვს შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება ***მაგთიკომის*** წინაშე, იგი ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ***განაცხადი*** არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად ***მაგთიკომის*** მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას, მათ შორის, გააფორმოს მასთან ხელშეკრულება წინამდებარე ***ოფერტის*** შესაბამისად.

2.6 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ***განაცხადი*** არ აკმაყოფილებს 2.2. და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ***მსურველ პირს*** 4 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში 2.7 და 2.8 პუნქტებში აღნიშნული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ ან იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს 2.5 პუნქტით განსაზღვრული გარემოება (დავალიანების არ არსებობა). შესაძლებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს 2.3.6 პუნქტით გათვალისწინებული ***ხელშეკრულების შესრულების გარანტიის*** წარმოდგენამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის ***მაგთიკომისათვის*** წარდგენის დღიდან.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ ***განაცხადი*** შედგენილია 2.2. და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილია წინამდებარე ***ოფერტისგან*** განსხვავებული ურთიერთჩართვის განხორციელების პირობები, ***მაგთიკომი*** 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის განაცხადში მითითებული სქემით ურთიერთჩართვის განხორციელების მიზანშეწონილობას და აცნობებს ***მსურველ პირს***.

2.8 2.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ურთიერთჩართვის განხორციელება ***განაცხადში*** მოთხოვნილი სქემის მიხედვით, მიიჩნევა რომ განაცხადი არ აკმაყოფილებს წინამდებარე ***ოფერტის*** პირობებს და 2.9, 2.10 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. ***მაგთიკომი*** შესაძლებლობების ფარგლებში შესთავაზებს ***მსურველ პირს*** ალტერნატიულ ვარიანტს, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან დამატებით. ურთიერთჩართვის განხორციელების სქემის შეთანხმების შემდგომ დაიწყება 2.9-2.10 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა.

2.9 2.2 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ***მსურველ პირს*** გაეგზავნება ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პროექტი მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. ***მსურველი პირი*** ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული სახით გაუგზავნოს ***მაგთიკომს***

შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. ***მაგთიკომი*** შემდგომი 5 (ხუთი) დღის განმავლობაში უგზავნის ხელშეკრულების ხელმოწერილ ეგზემპლარებს ***მსურველ პირს***. ***მსურველი პირი*** ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ხელშეკრულების მისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი გადასცეს ***მაგთიკომს***, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ***ოფერტაზე*** აქცეპტი არ განხორციელებულა და ***მაგთიკომსა*** და ***მსურველ პირს*** შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა.

2.10 მხარეები ვალდებულნი არიან ზედმიწევნით დაიცვან 2.9 პუნქტით გათვალისწინებული ვადები და განაცხადის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმალობაში გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

2.11 იმ შემთხვევაში, თუ ***მსურველი პირის*** მიერ განსაზღვრული სავარაუდო ტრაფიკი ხელშეკრულების მოქმედების განმალობაში გაიზრდება (ან გადააჭარბებს განაცხადში დაფიქსირებულ ტრაფიკის ოდენობას), იგი ვალდებულია პროპორციულად გაზარდოს ***ხელშეკრულების შესრულების გარანტია*** (***საბანკო გარანტია*** ან ***დეპოზიტი***).

3. მუხლი ურთიერთჩართვის წერტილში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა

3.1 ურთიერთჩართვის წერტილებში გამოყენებული ინტერფეისებია:

3.1.1 G 703;

3.1.2 SDH სტანდარტის შესაბამისი STM 1–ის ოპტიკური ინტერფეისი;

3.2 მხარეები უზრუნველყოფენ ურთიერთჩართვის საექსპლოატაციო უსაფრთხოებას, როგორც ურთიერთჩართვის წერტილში, ისე მხარეთა კუთვნილ მოწყობილობებზე ურთიერთჩართვის წერტილიდან მის შესაბამის მოწყობილობამდე.

3.3 ურთიერთჩართვის განხორციელებამდე მხარეები მოახდენენ ინტერფეისის და უთიერთოპერაბელურობის ტესტირებას. ტესტირება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მხარეთა მიერ განხორციელებულ იქნება ქსელების ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური სამუშაო.

4. მუხლი. ნუმერაციის რესურსი და ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) ტარიფები

4.1 მობილურ ქსელში (599 xxxxxx, 598 xxxxxx, 596 xxxxxx, 595 xxxxxx, 591 xxxxxx, 551 xxxxxx, 54444xxxx) ურთიერთჩართვის ტარიფები:

4.1.1 2018 წლის 01 ივლისიდან ზარის წამოწყება - 2.16 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.1.2 2018 წლის 01 ივლისიდან ზარის დასრულება - 1.81 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.1.3 2019 წლის 01 იანვრიდან ზარის წამოწყება - 1.44 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.1.4 2019 წლის 01 ივნვრიდან ზარის დასრულება - 0.75 თეთრი, გადასახადების გარეშე.

4.2 ფიქსირებულ უსადენო ქსელში (საქართველოს ტერიტორია – 790 xxxxxx) ურთიერთჩართვის ტარიფები:

4.2.1 2018 წლის 01 ივლისიდან ზარის წამოწყება ადგილობრივ დონეზე - 1.04 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.2 2018 წლის 01 ივლისიდან ზარის წამოწყება ტრანზიტულ დონეზე - 1.05 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.3 2018 წლის 01 ივლისიდან ზარის დასრულება ადგილობრივ დონეზე - 0.99 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.4 2018 წლის 01 ივლისიდან ზარის დასრულება ტრანზიტულ დონეზე - 1.01 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.5 2019 წლის 01 იანვრიდან ზარის წამოწყება ადგილობრივ დონეზე - 0.38 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.6 2019 წლის 01 იანვრიდან ზარის წამოწყება ტრანზიტულ დონეზე - 0.41 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.7 2019 წლის 01 იანვრიდან ზარის დასრულება ადგილობრივ დონეზე - 0.28 თეთრი, გადასახადების გარეშე;

4.2.8 2019 წლის 01 იანვრიდან ზარის დასრულება ტრანზიტულ დონეზე - 0.32 თეთრი, გადასახადების გარეშე.

4.3 ფიქსირებული სადენიანი ქსელში ურთიერთჩართვის (წამოწყება/დასრულება) ტარიფი (თბილისი – 226xxxx, 2170xxx–2177xxx, 2427xxx-2429xxx, 200xxxx, 220xxxx, 2480xxx-2484xxx, 2505xxx-2509xxx, 2970xxx-2974xxx; ქუთაისი – 200xxx-201xxx, 210xxx; ბათუმი - 200xxx, 210000-214999, 230000-235999, 237000-239999; ქობულეთი - 210xxx; ფოთი - 200xxx; ზუგდიდი - 200xxx; სამტრედია - 200xxx) - 4 თეთრი/წთ, დღგ–ს ჩათვლით;

შენიშვნა: აღნიშნული ტარიფიკაცია, ასევე ვრცელდება მაგთიკომის ქსელში პორტირებულ სააბონენტო ნომრებზე.

4.4 ადგილობრივი ზარის ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 (ერთი) თეთრი/წთ დღგ–ს ჩათვლით.

4.5 თანალოკაციის ფართით სარგებლობის, მათ შორის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის და კონდიცირების საფასური შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს ყოველთვიურად, დღგ–ს ჩათვლით, ხოლო ქ. ქუთაისში ან ქ. ბათუმში ანტენის განთავსების შემთხვევაში ყოველთვიური საფასური შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, დღგ–ს ჩათვლით.

4.6 ტარიფები შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს ***მაგთიკომის*** მიერ ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წინამდებარე ***ოფერტაში*** ცვლილების შემთხვევაში ავტომატურად იცვლება ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფები.

5. მუხლი. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ადგილის მისამართი (ურთიერთჩართვის წერტილი)

5.1 ურთიერთჩართვის წერტილებია:

5.1.1 ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N5;

5.1.2 ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. N88;

5.1.3 ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N103.

5.2 ***მსურველი პირი*** ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთჩართვის წერტილ(ებ)ამდე.

5.3 ***მსურველი პირი*** ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების“ შესაბამისად ***მაგთიკომის*** ქსელის მიმართულებით განხორციელებულ ზარებს მოაყოლოს ზარის წამომწყები ეროვნული ნომერი („ა“ ნომერი). წინააღმდეგ შემთხვევაში ***მაგთიკომს*** უფლება ექნება არ განახორციელოს ზარების გატარება/დასრულება.

6. მუხლი. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები

6.1 თანალოკაციის ფართის მისამართები:

6.1.1 ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N5;

6.1.2 ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. N88;

6.1.3 ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N103.

6.2 თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ ***მაგთიკომსა*** და ***მსურველ პირს*** შორის ფორმდება ხელშეკრულება. თანალოკაციის ფართის გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა.

6.3 აპარატურის განთავსების/მოხსნის შემთხვევაში ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.

6.4 თანალოკაციის ფართზე აპარატურის განთავსება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

6.4.1 ურთიერთჩართვისთვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი) უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დუიმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 40 სმ–ს;

6.4.2 მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ–ს;

6.4.3 ***მაგთიკომი*** უზრუნველყოფს 48 ვოლტი მუდმივი ძაბვის ელექტროკვებას და სათანადო კონდიცირებას.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განსახორციელებლად ***მსურველ პირს*** ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას ***მაგთიკომის*** ანზებზე გამოეყოფა სათანადო ფართი ანტენის დასამონტაჟებლად, შემდეგი პირობებით:

6.5.1 ქ. ქუთაისში, თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანძაზე - არაუმეტეს 0,6 მ დიამეტრის პარაბოლური ანტენა;

6.5.2 ქ. ბათუმში, თანალოკაციის ფართის შენობის სახურავზე განთავსებულ ანძაზე მცირე ზომის (არაუმეტეს 0,3–0,6 დიამეტრის) პარაბოლური ანტენა.

6.6 თანალოკაციის ფართზე ***კონტრაჰენტის*** წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ ***მაგთიკომთან*** შეთანხმებით და ***მაგთიკომის*** წარმომადგენლის თანხლებით;

6.7 თანალოკაციის ფართზე ***კონტრაჰენტის*** წარმომადგენლის დაშვების ყოველი შემთხვევა აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება ***კონტრაჰენტის*** წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, დაშვების მიზანი და შესრულებული სამუშაო. ჩანაწერის სისწორე დასტურდება ***მაგთიკომისა*** და ***კონტრაჰენტის*** წარმომადგენლის ხელმოწერებით.

6.8 თანალოკაციის ფართით სარგებლობის შემთხვევაში **მსურველი პირი** ვალდებულია, გადაიხადოს 4.8 პუნქტით გათვალისწინებული საფასური.

6.9 თანალოკაციის ფართზე შესვლისას ***კონტრაჰენტი*** ვალდებულია დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების თუ სხვა ნორმები.

6.10 თანალოკაციის ფართით სარგებლობის უფლება ***კონტრაჰენტს*** გადაეცემა მხოლოდ ურთიერთჩართვის ორგანიზებისა და მისგან გამომდინარე მომსახურებ(ებ)ის მიღების უზრუნველსაყოფად.

7. მუხლი. ანგარიშწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების პირობები იყოფა რამდენიმე კატეგორიად, კერძოდ:

7.1.1 ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც (i) ამ ***ოფერტის*** ძალაში შესვლის დღისთვის იღებენ ***ოფერტით*** გათვალისწინებულ მომსახურებას და უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ დაურღვევიათ ანგარიშსწორების ვალდებულება და (ii) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე, თუ მათ მიერ ***ოფერტის*** ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში არ იქნება დარღვეული მათზე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები (***მაგთიკომის*** მიერ გაწეული მომსახურების, მათ შორის, ზარების დასრულების მომსახურების ღირებულების საფასურის გადახდა დადგენილ ვადაში მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტით ან 7.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ***მაგთიკომის*** მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტით და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით დაფიქსირებული მომსახურების ღირებულების საფასურის გადახდა);

7.1.2 ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც არ არიან ცნობილნი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე ან/და იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე, თუ მათ მიერ ***ოფერტის*** ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში დარღვეული იქნება (***მაგთიკომის*** მიერ გაწეული მომსახურების, მათ შორის, ზარების დასრულების მომსახურების ღირებულების საფასურის გადაუხდელობა დადგენილ ვადაში მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტით ან 7.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ***მაგთიკომის*** მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტით და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით დაფიქსირებული მომსახურების ღირებულების საფასურის გადაუხდელობა) მათზე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები.

7.2 7.1.1 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარისწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:

7.2.1 მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გაწეული მომსახურებების შესახებ მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტის ან 7.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ***მაგთიკომის*** მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის დასრულებიდან შემდეგი 40 (ორმოცი) დღის განმავლობაში.

7.2.2 შედარების აქტში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. ავტორიზებული პირი ***მაგთიკომს*** ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნის ინფორმაციას მის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 8 (რვა) რიცხვისა (***მაგთიკომისათვის*** მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრონული ფოსტის მისამართზე irakli.tskitishvili@magticom.ge). მეორე მხარის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში (ინფორმაციის წარმოუდგენლობა ან/და წარმოდგენა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 8 (რვა) რიცხვის შემდეგ) გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის შედგენა ხდება ***მაგთიკომის*** მონაცემების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ავტორიზებულ პირს წარმოეშობა უპირობო ვალდებულება სრულად განახორციელოს ანგარიშსწორება ***მაგთიკომის*** მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტის საფუძველზე. ***მაგთიკომი*** გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტს მეორე მხარეს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (მათ შორის, შესაძლებელია შედარების აქტის ელექტრონული სახითაც გაგზავნა), ხოლო მეორე მხარე თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე შედარების აქტის დედანის ერთ ეგზემპლარს ***მაგთიკომს*** უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

7.2.3 შედარების აქტის გაფომებისას მხარეთა შორის შესაძლებელია წარმოიშვას წინააღმდეგობა მათ მიერ გაწეული მომსახურებების ოდენობებზე. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას შედარების აქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, ავტორიზებულ პირს გადაანგარიშების მოთხოვნა წარმოეშვება მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ ***მაგთიკომისათვის*** ინფორმაცია მიწოდებულია 7.2.2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით (საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს რვა რიცხვისა). მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილის ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადავოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

7.2.4 7.2.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადავო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მეორე მხარე ***მაგთიკომს*** აწვდის სადავო თვის სასადგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. ამასთან, სასადგურე ჩანაწერებისადმი მინიმალური მოთხოვნა არის csv ფორმატი და ველები: Date; Time; Number A; Number B; Duration. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, ***მაგთიკომი*** მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად უფლებამოსილია შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7.2.5 ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ აწერს ხელს შედარების აქტს ან/და არ აბრუნებს მას დადგენილ ვადაში), ანგარიშსწორება იწარმოებს ***მაგთიკომის*** მიერ მეორე მხარისათვის წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად. ავტორიზებული პირის მიერ შედარების აქტის ხელმოწერილი დედნის უკან დაბრუნების ვადებულების დარღვევა (შედარების აქტის დაუბრუნებლობა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვიდან 30 კალენდარულ დღეში) ითვლება ***ოფერტის*** და

ხელშეკრულების არსებით დარღვევად, რა შემთხვევაშიც ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7.2.6 ავტორიზებული პირის მიერ, 7.2 პუნქტით განსაზღვული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, ***მაგთიკომი*** უფლებამოსლია დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე მოსთხოვოს ასეთ პირს წინამდებარე ოფერტის 7.3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებზე გადასვლა. ასეთ შემთხვევაში, ავტორიზებული პირის მიერ 7.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების არ ან არასრულად შესრულების შემთხვევაში ***მაგთიკომი*** უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე გამოიყენოს ***ოფერტის*** მე-12 მუხლით მინიჭებული უფლებები.

7.3 7.1.2 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შეასაბამისად, კერძოდ:

7.3.1 ***მსურველი პირი*** ვალდებულია წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და გაფორმების შემდეგ წერილობითი ფორმით წარუდგინოს (თვის დასაწყისამდე) ***მაგთიკომს*** ყოველთვიური სავარაუდო პროგნოზი (შემდგომში - პროგნოზი), მის მიერ ***მაგთიკომის*** ქსელში დასასრულებელი/დასატერმინირებელი წუთების ოდენობის შესახებ.

7.3.2 ავტორიზებული პირის მიერ 7.3.1 პუნქტის მიხედვით გაკეთებული პროგნოზი წარმოადგენს მის მიერ ***მაგთიკომისათვის*** დეპოზიტის სახით ჩასარიცხი თანხის გამოანგარიშების ძირითად საფუძველს. დეპოზიტის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია 1000 (ათასი) ლარით. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული დეპოზიტი არ არის ავანსის სახით გადახდილი თანხა. იგი არის ავტორიზებული პირის მიერ ***მაგთიკომის*** წინაშე ნაკისრი ყოველთვიური ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, რომლის გამოყენებაც ***მაგთიკომის*** მიერ განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშო თვის ბოლო დღის ჩათვლით ***მაგთიკომის*** მიერ ავტორიზებული პირისათვის გაწეული მომსახურების ღირებულება არ იქნება გადახდილი ავტორიზებული პირის მიერ საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ამასთან, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეავსოს დეპოზიტი (დეპოზიტის შევსება ხორციელდება მინიმუმ 1000 ლარით), თუ ავტორიზებული პირისათვის ***მაგთიკომის*** მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება საანგარიშო თვის განმავლობაში გაუტოლდება ან/და გადააჭარბებს დეპოზიტის სახით გადახდილი თანხის ოდენობას.

7.3.3 ავტორიზებული პირის მიერ დეპოზიტის თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს ***მაგთიკომის*** მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.3.4 ***მაგთიკომის*** მოთხოვნის შემთხვევაში, ავტორიზებული პირი ვალდებულია ***ოფერტაზე*** აქცეპტის გაკეთების დროს ან შემდგომ ნებისმიერ დროს, წერილობით აცნობოს ***მაგთიკომს*** ურთიერთჩართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი E1 რაოდენობა და მათი/მისი გამოყენების მიზნობრიობა, კერძოდ, რომელი/რამდენი E1 იქნება გამოყენებული ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის (ყოველი ცალკეული E1 მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით). მსგავს შემთხვევაში, დაუშვებელია ერთი კონკრეტული E1 გამოყენებული იქნას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის. საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის განკუთვნილი E1-ის საშუალებით შემოსული ნებისმიერი ზარი ჩაითვლება საერთაშორისო ზარად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

7.3.5 ავტორიზებული პირი ვალდებულია ყოველდღიურად აკონტროლოს მის მიერ ***მაგთიკომისგან*** მისაღები/მიღებული მომსახურების მოცულობა.

7.3.6 ავტორიზებული პირი ვალდებულია დაუყონებლივ ჩაურიცხოს ***მაგთიკომს*** დეპოზიტის სახით თანხა, თუ მის მიერ მიღებული მომსახურების ღირებულება გაუტოლდება ან/და გადააჭარბებს ავტორიზებული პირის მიერ დეპოზიტის სახით უკვე ჩარიცხული თანხის ოდენობას. ამასთან, ავტორიზებული პირი ვალდებულია დეპოზიტის სახით ***მაგთიკომს*** ჩაურიცხოს თანხა იმ ოდენობით, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ***მაგთიკომის*** მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების სრულად დაფარვას და მეორე მხრივ, იქნება საკმარისი ავტორიზებული პირის მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში ***მაგთიკომისგან*** მისაღები მომსახურების ღირებულების დასაფარად.

7.3.7 ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 7.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებზე ასევე ვრცელდება 7.2.2-7.2.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. გამონაკლისს წარმოადგენს ის დებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის 7.3 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშსწორების პირობებთან.

7.3.8 ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 7.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ავტორიზებული პირების მიერ ***მაგთიკომისგან*** მიღებულ მომსახურებაზე თანხების გადახდის ვალდებულება ჯეროვნად შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დღიდან, როდესაც ავტორიზებული პირის მიერ გადახდილი თანხა აისახება/ჩაირიცხება ***მაგთიკომის*** საბანკო ანგარიშზე ან/და „ავტორიზებული პირის მიერ ***მაგთიკომისათვის*** წარდგენილია თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დადგენილი წესით დადასტურებული საბანკო დაწესებულების მიერ).

7.4 ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია აქცეპტანტს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, აქცეპტანტის მიერ ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ – ძირითადი დავალიანება.

7.5 პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს ***მაგთიკომის*** უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს დარიცხვა ხორციელდება ვალდებულების დარღვევის დღიდან, თუ მხარეთა სპეციალური შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია ***ოფერტით*** და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება/სანქციები, რომლებიც წარმოშობილია აქცეპტანტის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის შედეგად, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს როგორც ცალ–ცალკე, ასევე ერთობლივად.

7.6 ფინანსური ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება დადგენილ ვადაში აქცეპტანტის მიერ ***მაგთიკომისათვის*** თანხის გადაუხდელობა ან/და არასრულად გადახდა.

7.7 ანგარიშსწორება ხორციელდება ყველა განხორციელებულ ზარზე, მიუხედავად ზარის წამომწყები აბონენტის ადგილმდებარეობისა. ***მაგთიკომის*** მიერ განხორციელებული ზარების დამრგვალება ხდება ერთი წამის სიზუსტით.

7.8 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

8. მუხლი. არაპირდაპირი ურთიერთჩართვის/ტრანზიტის პირობები

8.1 ***მაგთიკომთან*** არაპირდაპირი, ტრანზიტული კავშირის ოპერატორის საშუალებით ჩართვის შემთხვევაში, არაპირდაპირ ჩართული ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა სატრანზიტო ხარჯის დაფარვას, მათ შორის, მისი ქსელიდან წამოწყებული და ***მაგთიკომის*** ქსელში დასრულებული, აგრეთვე ***მაგთიკომის*** ქსელიდან წამოწყებული და მის ქსელში დასრულებული ზარების სატრანზიტო მომსახურების საფასურის გადახდას.

8.2 გამოძახებების ***მაგთიკომის*** ქსელის საშუალებით ტრანზიტული გატარების შემთხვევაში, ***კონტრაჰენტი*** ვალდებულია 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ ტრანზიტულ მომსახურების საფასურთან ერთად გადაუხადოს ***მაგთიკომს*** ზარის დასრულების (ტერმინაცია) საფასური, იმ ოდენობით რაც შეთანხმებულია ***მაგთიკომსა*** და მესამე პირს (ოპერატორს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ***კონტრაჰენტის*** მიერ ტრანზიტული გატარების ტრაფიკის მოცულობა, რომელიმე კონკრეტული ოპერატორის მიმართულებით, მიაღწევს იმ ოდენობას, როცა ასეთი მოცულობის ტრაფიკის გატარება ***მაგთიკომისათვის*** ფინანსურად გაუმართლებელია ან იწვევს ქსელის გადატვირთვას, ***მაგთიკომი*** უფლებას იტოვებს მოსთხოვოს ***კონტრაჰენტს*** განახორციელოს პირდაპირი ურთიერთჩართვა ამ მესამე ოპერატორთან.

9. მუხლი. დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები

9.1 დამატებითი სიმძლავრე შეიძლება გამოეყოს ***კონტრაჰენტს*** მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

9.2 წერილობით მოთხოვნაში დასაბუთებულ უნდა იყოს სიმძლავრის გამოყოფის აუცილებლობა, რაც შეიძლება გამოწვეულ იყოს ტრაფიკის გაზრდით და თან უნდა დაერთოს ტრაფიკის ანალიზი. დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის და შესაბიმისი ხელშეკრულების საგარანტიო თანხის წარმოდგენის შემთხვევაში დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ვადა შეადგენს 20(ოცი) დღეს.

9.3 9.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სიმძლავრის უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას. დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პირობები დაკონკრეტდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.4 ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია, ტრაფიკის შემცირების შემთხვევაში პროპორციულად შეამციროს გამოყოფილი არხების რაოდენობა.

10. მუხლი. ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

10.1 ***მაგთიკომმა*** და ***კონტრაჰენტმა*** 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის გეგმიური სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.

10.2 10.1 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს თუ სარემონტო ან აღდგენითი ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარება ***მაგთიკომს*** არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა და თუ სამუშაოების ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ქსელის ტექნიკური საშუალებების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში ***მაგთიკომი*** აცნობებს ***კონტრაჰენტს*** წერილობით აღნიშნული გარემოების დადგომიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

10.3 მხარეებმა დაუყონებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე, და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დადგომა აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

10.5 „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

10.6 დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, მათ შორის წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, გაფიცვა, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული და დივერსრიული აქტები, ოფიციალურად გამოცხადებული ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, ტერორისტული და დივერსიული აქტები, სამოქალაქო არეულობები, ხელისუფლების ორგანოების ისეთი მოქმედებები, აქტები ან სანქციები, რაც არსებითად აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.7 თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

11. მუხლი. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის უსაფთხოების დაცვა

11.1 ***მაგთიკომი*** და ***კონტრაჰენტი*** ვალდებულნი არიან 24 საათიან უწყვეტ რეჟიმში, ყოველ კალენდარულ დღეს (მათ შორის უქმე და დასვენების დღეებში) აკონტროლონ ქსელის უსაფთხოება და გამართული ფუნქციონირება.

11.2 ***კონტრაჰენტი*** იღებს ვალდებულებას, რომ მისი აპარატურა და დანადგარები, რომლებიც მიერთებულ იქნებიან ***მაგთიკომის*** აპარატურასთან იქნება თავსებადი, არ დააზიანებს ***მაგთიკომის*** აპარატურას

ან/და არ მოახდენს საზიანო ხელშეშლას ან/და არ გამოიწვევს რაიმე სახის შეფერხებას ***მაგთიკომის*** ქსელის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

11.3 საზიანო ხელშეშლის ან სხვა ისეთი გარემოების დადგომისას, რაც საფრთხეს უქმნის ქსელის უსაფთხოებას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, მხარეები შეაჩერებენ ურთიერთჩართვას და დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშეშლა გულისხმობს ხელშეშლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულების მონაწილე მხარის ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე, ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს ურთიერთჩართვას ან დაუკარგავს ხარისხს ან გამოიწვევს ურთიერთჩართვის გაწყვეტას ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას და ურთიერთოპერაბელურობას.

11.4 ***მაგთიკომი*** და ***კონტრაჰენტი*** ვალდებულნი არიან დაიცვან ქსელის ინტეგრაცია და უსაფრთხოება, არ დაუშვან საკუთარ ქსელში ნებისმიერი არასანქციონირებული შეჭრა (სარგებლობა) ქსელის ელემენტებთან. ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში მხარე რომლის ქსელიდან მოხდა არასანქციონირებული შეჭრა არ თავისუფლდება მეორე მხარის წინაშე ანგარიშსწორების და ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი ანაზღაურების ვალდებულებისაგან. არასანქციონირებული შეჭრა გულისხმობს მესამე პირის მიერ ხელშეკრულების მონაწილე მხარის ქსელის ან ქსელის ელემენტების გამოყენებას, რომელიც არ არის ნებადართული (სანქციონირებული) მხარის მიერ, ეწინააღმდეგება მხარეთა ნებას და არ გამომდინარეობს წინამდებარე ***ოფერტითა*** და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან.

11.5 ***მსურველი პირი/კონტრაჰენტი*** იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას, რომ არ გამოიყენებს წინამდებარე ***ოფერტით*** გათვალისწინებულ ქსელთან დაშვებას, ***მაგთიკომის*** ან მესამე ოპერატორის ქსელის მიმართულებით სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისათვის. პირი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს ზარის წამომწყები აბონენტის ნომრის (ა ნომერი) ***მაგთიკომისათვის*** გამჭირვალედ გადაცემა.

11.6 ***მაგთიკომი*** და ***მსურველი პირი/კონტრაჰენტი*** იღებენ ვალდებულებას, რომ დაიცავენ საკუთარი ქსელის ინტეგრაციას და უსაფრთხოებას, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დანერგავენ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მომსახურებაში არსებული თაღლითური ქმედების (fraud) ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ავამე დროს მხარეები თანხმდებიან, რომ მჭიდროდ ითანამშომლებენ ამ პუნქტით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესასრულებლად.

11.7 ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერი საეჭვო ტრაფიკის (fraud) (ზარის წარმომწყები ნომრის დაფარვის/კორექტირების/შეცვლის/გადაკეთების, სერვერის და - IP მისამართის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის ან სხვა შემთხვევებში, რომელიც ქმნის საფუძვლიან ეჭვს თაღლითული ქმედების (fraud) არსებობაზე) აღმოჩენის შემთხვევაში, ***მაგთიკომი*** იტოვებს უფლებას შეაჩეროს ზარების მიღება კონკრეტული მიმართულებებიდან, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს ***კონტრაჰენტს*** და კომისიას. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნებისმიერი საეჭვო ტრაფიკი ჩაითვლება საერთაშორისო ტრაფიკად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

11.8 ნებისმიერ ზარი, რომელსაც არ ექნება ეროვნული ნომრის ფორმატი (იგულისხმება ზარის წამომწყები - ა ნომერი), ჩაითვლება საერთაშორისო ზარად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

12. მუხლი. ხელშეკრულების მოქმედები ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

12.2 ურთიერთჩართვა შესაძლებელია შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შემდეგ შემთხვევებში:

12.2.1 მხარეთა ორმხრივი წერლობითი შეთანხმებით;

12.2.2 ხელშეკრულების შეწყვეტის, ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის შემთხვევაში;

12.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში;

12.3 ***ოფერტის*** 7.1.2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ***მაგთიკომი*** მომსახურების გაწევს უზრუნველყოფს დეპოზიტის თანხის ამოწურვამდე. დეპოზიტის თანხის ამოწურვის (ასევე მისი გახარჯვის ან საერთოდ არ წარმოდგენის) შემთხვევაში ***მაგთიკომი*** კომისიის თანხმობის გარეშე შეაჩერებს მომსახურებას (მათ შორის, შეწყვეტს ზარის დასრულების მომსახურებას) და

ავტორიზებული პირის მხრიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში დეპოზიტის თანხის შეუვსებლობის შემთხვევაში, შეწყვეტს ხელშეკრულებას. ამასთან, ***მაგთიკომი*** არ იღებს ვალდებულებას დეპოზიტის ამოწურვისთანავე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ურთიერთჩართვის მომსახურება. შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია, სრულად და უპირობოდ გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულებაც, რომელსაც იგი ფაქტობრივად მიიღებს დეპოზიტის თანხის ამოწურვის (ასევე მისი გახარჯვის ან საერთოდ არ წარმოდგენის) შემდეგ.

12.4 აქცეპტანტის მიერ დეპოზიტის შევსების შემთხვევაში მომსახურების აღდგენა მოხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ვადის ათვლა დაიწყება ***მაგთიკომის*** მიერ წინასწარ დათქმულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის განხორციელების მომდევნო სამუშაო დღიდან. სხვა საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა არ განიხილება დეპოზიტის შევსებად.

13. მუხლი. *მაგთიკომის* ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მიერ, ამასთან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყონებლივ აღსასრულებლად. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია განიხილავს მხოლოდ იმ დავებს, რომელთა განხილვაც "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს მისი უფლებამოსილების სფეროს.

14. მუხლი. *ოფერტის* მოქმედების ვადა და მასში ცვლილებების განხორციელების პირობები

14.1 ოფერტის მოქმედების ვადა – 2018 წლის 01 ივლისიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.2 ***მაგთიკომის*** ინიციატივით მის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად, აქცეპტანტისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ 1 (ერთი) კვირით ადრე მაინც. შეტყობინებას უთანაბრდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში მხარის მიერ ტარიფების გამოქვეყნება „კომისიის" ვებ–გვერდზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით ***ოფერტის*** პირობის ცვლილება უთანაბრდება აქცეპტანტთან გაფორმებულ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

14.3 თუ აქცეპტანტი არ ეთანხმება ***ოფერტის*** პირობის ცვლილებას, იგი ვალდებულია წერილობით აცნობოს ***მაგთიკომს ოფერტის*** 14.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. აღნიშნული ქმედება განხილულ იქნება როგორც უარი მომსახურების მიღებაზე, შესაბამისად, ***მაგთიკომი*** უფლებამოსილია დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს/შეწყვიტოს ხელშეკრულება ***ოფერტით*** განსზაღვრულ მომსახურებაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.4 თუ ***ოფერტის*** 14.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში აქცეპტანტი წერილობითი ფორმით არ განაცხადებს უარს ***მაგთიკომის*** მიერ განსახორციელებელ ცვლილებაზე, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება აქცეპტანტის მიერ მიღებულ იქნა უპირობოდ.

15. მუხლი. დასკვნითი დებულებები

15.1 ურთიერთჩართვის ხელშეკრულება აკონკრეტებს ***ოფერტით*** გათვალისწინებულ მომსახურების პირობებს. ხელშეკრულებასა და ***ოფერტას*** წინააღმდეგობის (კოლიზიის) არსებობისას უპირატესი ძალა ენიჭება და მოქმედებს ***ოფერტით*** გათვალისწინებულ პირობებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ შეტყობინებები შესაძლოა გაგზავნილ იქნას წერილობით და საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე. საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება მიიჩნევა წერილობით შეტყობინებად. საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმანეთს ახალი საკონტაქტო საფოსტო მისამართის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისათვის უკანასკნელად ცნობილ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ამ ***ოფერტით*** გათვალისწინებული წესების დაცვით გაგზავნილ შეტყობინებად.

15.3 წინამდებარე ***ოფერტა*** არ არეგულირებს საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების პირობებს, რაც რეგულირდება ***მაგთიკომის*** საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადებით.